კონკურსის „ასწავლე ფინანსები ლიტერატურით“ ფარგლებში ჩატარებული აქტივობის წარდგენის ფორმა

სსიპ ქალაქ თბილისის N45 საჯარო სკოლა

ინფორმაცია ჩატარებული ღონისძიების შესახებ	
სეგმენტი	მოსწავლეები
კლას(ებ)ი, რომელშიც ჩატარდა აღნიშნული ღონისძიება	I ე კლასი
მხატვრული ნაწარმოები (დასახელება, ავტორი), რომელიც განიხილეთ მოსწავლეებთან ერთად	ევროპული ხალხური ზღაპარი „ჯადოსნური მონეტა“
ფინანსური განათლების თემები, რომლებიც განიხილეთ აქტივობის ჭრილში (მაგალითად, დაზოგვა, ბიუჯეტირება, დაზღვევა. თემებზე დეტალური ინფორმაციისთვის ეწვიეთ ფინედუს ვებგვერდს)	დაზოგვა

კონკურსის „ასწავლე ფინანსები ლიტერატურით“ ფარგლებში ჩატარებული აქტივობის წარდგენის ფორმა

სწავლების მეთოდ(ებ)ი, რომელიც გამოიყენეთ ლიტერატურის განხილვისას. ახსენით რატომ შეარჩიეთ ეს მეთოდები (მაგალითად, კეთებითი სწავლება, შემთხვევების განხილვა, დისკუსია, როლური თამაში და სხვა)	გაკვეთილების მიმდინარეობისას, სასურველი შედეგის მისაღწევად, გამოვიყენე სწავლების სხვადასხვა მეთოდი: 1. გაკვეთილი აგებული იყო კონსტრუქტივისტული სწავლების პრინციპების მიხედვით - მოსწავლეებმა ახალი ცოდნა დააშენეს უკვე არსებულ ცოდნას. გაკვეთილის განმავლობაში მე ვასრულებდი „ხარაჩოს“ როლს, მოსწავლეები თავად აკეთებდნენ დასკვნებს მიღებული ინფორმაციის საფუძველზე. 2. დისკუსია - აღნიშნული მეთოდი მიმართულია საკუთარი აზრის მკაფიოდ, ლოგიკურად და დასაბუთებულად გადმოცემის და სხვისი მოსაზრების ოპონირების უნარის ჩამოყალიბება-განვითარებაზე; 3. დემონსტრირება - სხვადასხვა სწავლის სტილის მქონე მოსწავლეები ინფორმაციას გაკსხვავებული გრძნობათა ორგანოებით აღიქვამენ, შესაბაისად გაკვეთილზე გამოვიყენე ვიზუალური და აუდიო საშუალებებიც. 4. კეთებით სწავლება - აღნიშნული მეთოდის დახმარებით მოსწავლეს შესწავლილი თეორიული მასალა გადმოაქვს პრაქტიკაში, ახორციელებს და თავად ქმნის შემოქმედებით პროდუქტს, რომელიც ეხმარება თემის უკეთ გააზრებაში.
აქტივობის აღწერა (აღწერეთ სრული შეხვედრის მეთოდური ნაწილი: როგორ წარიმართა შეხვედრა, რა სტრუქტურით და თანმიმდევრობით განიხილეთ მხატვრული ნაწარმოები, რა მეთოდები გამოიყენეთ და როგორ დაუკავშირეთ ფინანსურ განათლებას. მიუთითეთ ჩატარებული აქტივობის ხანგრძლივობა)	ტექსტის წაკითხვამდე... 1. მოსწავლეთა წინარე ცოდნის გააქტიურება და მოტივაციის აღძვრა: „იდუმალ ყუთში“ მოთავსებული იყო გოჭი ყულაბის ფოტო, მინიშნებების გამოყენებით უნდა გამოეცნოთ რა იდო ყუთში. აქვე შევთანხმდით, რომ მომდევნო გაკვეთილზე თავად დავამზადებდით ყულაბებს. 2. დისკუსია - რამდენად მნიშვნელოვანია ფულის დაზოგვა? აქტივობის მიზანი იყო მოსწავლეთა დაფიქრება დაზოგვის თემასთან დაკავშირებით, მოსაზრების დაფიქსირება და არგუმენტირება. მოსწავლეებს დარიგებული ჰქონდათ წითელი და მწვანე ბარათები, ჰიპოთეზის შეთავაზების შემდეგ მოწავლეებმა დააფიქსირეს თავიანთი მოსაზრება ეთანხმებოდნენ თუ არა მოცემულ აზრს. შემდეგ განვიხილეთ რატომ ფიქრობდნენ ასე, მსჯელობისას მოიყვანეს მაგალითები თავიანთი ცხოვრებიდან. 3. ლექსიკურ ერთეულებზე მუშაობა: ტექსტის უკეთ გასაგებად ახალი ლექსიკური ერთეულები განთავსებული იყო დაფაზე. მოსწავლეებმა გამოთქვეს ვარაუდები სიტყვების შინაარსთან დაკავშირებით. მოსწავლეებმა ზეპირად მოიფიქრეს წინანდადებები ამ სიტყვების გამოყენებით.(ტექსტის კითხვისას დავაზუსტეთ მნიშვნელობები) 4. სათაურზე დაყრდნობით ვარაუდების გამოთქმა: აქტივობის მიზანი იყო მოსწავლეთა ყურადღების კონცენტრირება ტექსტის ირგვლივ, ფანტაზიისა და ზეპირმეტყველების უნარის განვითარება.

ტექსტის კითხვისას...

1. სამოდელო კითხვა:

მოსწავლეები გაეცნენ ზღაპარს „ჯადოსნური მონეტის“ შესახებ, რომელშიც მოცემული იყო პერსონაჟის მიზანი სათამაშოების ყიდვა, რომელსაც ის დაზოგვის გზით აღწევს.

2. ტექსტის წაკითხვამდე ახალ ლექსიკურ ერთეულების მნიშვნელობაზე გამოთქმული ვარაუდების განხილვა და სიტყვის საბოლოო მნიშვნელობის გააზრება.
3. ტექსტზე ინტერაქცია - კითხვა/პასუხი:

აქტივობის მიზანი იყო ტექსტის გაგება-გააზრება - მთავარი აზრის აღმოჩენა. კითხვები მოცემული იყო ქისაში, გამოსაძახებელი ჩხირების გამოყენებით მოსწავლეები თავად იღებდნენ ერთ შეკითხვას და პასუხობდნენ.

ტექსტის წაკითხვის შემდეგ...

1. ჭიანჭველა გროვიას გაცნობა - ანიმაციის ნახვა:

სხვადასხვა სწავლის სტილის მქონე მოსწავლეებისთვის დაზოგვის თემასთან დაკავშირებით მნიშვნელოვანი იყო ინფორმაციის მიწოდება ვიზუალური და აუდიო მასალის გამოყენებით. https://www.youtube.com/watch?v=0J6D_3DxFMs

2. დაზოგვის თემასთან დაკავშირებული ვიდეოკლიპის ნახვა.

აქტივობის მიზანი იყო კიდევ უფრო საინტერესოდ და მხიარულად გაეაზრებინად დაზოგვის მნიშვნელობა და ამ პროცესში ყულაბის გამოყენების როლი. https://www.youtube.com/watch?v=SsNif_dNiUw

3. გაკვეთილის შეჯამება/რეფლექსია:

მოსწავლეებმა წებოვანი ფურცლების გამოყენებით ერთი წინადადებით შეაჯამეს, რა მოეწონათ/არ მოეწონათ და დაამახსოვრათ გაკვეთილიდან.

პრაქტიკული ნაწილი:

მოსწავლეებმა მეორადი გამოყენების პლასტმასის კონტეინერებისგან დაამზადეს ყულაბები, აღნიშნული აქტივობა ასევე ეხმიანება მდგრადი განვითარების მიზნებს ნარჩენების მართვისა და მდგრადი მოხმარების მიმართულებით.

	დაზოგვის მნიშვნელობის უკეთ გააზრების მიზნით გადავიღეთ ვიდეოკლიპი დევიზით „დაზოგე ფული და აიხდინე ოცნებები“. განმავითარებელი შეფასება: თითოეული აქტივობის დასრულების შემდეგ მოსწავლეებს ვაძლევდი სიტყვიერ უკუკავშირს, გაკვეთილზე გამოვიყენე გამოსაძახებელი ჩხირები, წითელი და მწვანე ბარათები.
შედეგი / მიგნება, რომელიც დადგა / გამოიკვეთა აღნიშნული აქტივობის განხორციელების შემდეგ (მიუთითეთ, როგორ გაზომეთ აღნიშნული შედეგი)	გაკვეთილის დასასრულს მოსწავლეებმა წებოვან ფურცლებზე ერთი წინადადებით შეაჯამეს რა დაამახსოვრდათ გაკვეთილიდან. რომელთა წაკითხვის შემდეგ გამოჩნდა, რომ გაკვეთილი მათთვის ძალიან საინტერესო და დასამახსოვრებელი აღმოჩნდა. ასევე, გამოთქვეს სურვილი ხელნაკეთი ყულაბების გამოყენებით თავადაც დაეზოგათ თანხა სასურველი მიზნის მისაღწევად.